

# გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ

ნუგზარ პაპუაშვილი

ICCN

Cordaid

ნუგზარ პაპუაშვილი

# გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ

გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი

თბილისი
2006

ICCN

უაკ(UDC)01:271.222(479.22)პ189

წიგნში წარმოდგენილია მასალები დიდი საეკლესიო მოღვაწის და მეცნიერის მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სალვთისმეტყველო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციების შესახებ.

განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი:** ***ზურაბ კიკნაძე*** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** ***თამარ ჭუმბურიძე*** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

***გურამ კუტალაძე*** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გამომცემელი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი**

ICCN

**მადლობას ვუცხადებთ ჰოლანდიურ ფონდ Cordaid-ს გამოცემის დაფინანსებისთვის**

Cordaid

**ცენტრის მისამართია:**
ივ. მაჩაბლის 5, I სართული,
თბილისი 0105, საქართველო
ტელეფონი: (995 32) 99 99 87
ფაქსი: (995 32) 93 91 78
e-mail:iccn@iccn.ge
http://www.iccn.ge

© 2006 by Nugzar Papuashvili

ISBN 99940-805-6-3

## მკითხველებს

ჩვენი სერია ***რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში*** მკითხველთა ფართო წრეს ამჟამად სთავაზობს **ნუგზარ პაპუაშვილის** ახალ ნაშრომს, რომელშიც წარმოდგენილია მასალა დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მეცნიერის, მღვდელმოწამე **გრიგოლ ფერაძის** სალვთისმეტყველო და საზოგადოებრივი პოზიციების შესახებ.

**წმ. გრიგოლ ფერაძის** ცხოვრება და მოქალაქეობა არის აღმსარებლობათა, კულტურათა და ტრადიციათა თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი. იგი, ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, როგორც კათოლიკეების, ისე ევანგელისტების გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; მკვლევრად და თეოლოგადაც მათ წრეში და მათთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა. ეს ურთიერთობა საქართველოს ჩინებულმა მღვდელმთავარმა **წმ. ამბროსი ხელაიამ** დალოცა. სწორედ ამის ნაყოფად წარმოგვიდგება ის ზნეობრივი გმირობა, რომელიც სხვისთვის თავგანწირვაში გამოიხატა და რომელმაც ქართველ ბერ-არქიმანდრიტსა და პროფესორს დიდების შარავანდედი დაადგა.

**გრიგოლ ფერაძე** საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების საერთო წმინდანია. წმინდანად მას პოლონელი კათოლიკეებიც აღიარებენ. მის სახელს ევანგელური ეკლესიებიც კრძალვით მოიხსენიებენ. ეს სახელი ისრაელში ოქრის ასოებითაა ამოტვიფრული და მის მიმართ ებრაელებიც ლოცულობენ. ამდენად, მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე არის სულიერი ხიდი არა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების გამშტოებებს შორის, არამედ იგი ქრისტიან და ებრაელ ხალხთა, ზოგადად – კულტურათა და რელიგიათა ძმობის სიმბოლოდაც წარმოგვიდგება.

გრიგოლ ფერაძის ქადაგებებში ***ღმერთისა*** და ***სამშობლოს*** ურთიერთობა ისეა განმარტებული, რომ ამ განმარტების გათვალისწინება უთუოდ გამოადგება როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე მოღვაწეებს, ისე ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ პოლიტიკოსს, რომელნიც ერსა და ეკლესიას აიგივებენ, რაც, თავის მხრივ, ბევრ გაუგებრობასა

და კონფლიქტს წარმოშობს.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე ამაღელვებელი მასალების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს საქართველოში თანხმობისა და მშვიდობის დამკვიდრებას.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სახელით,

**გიორგი ხუციშვილი,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი



## ნუგზარ პაპუაშვილი

მუშაობს ფილოლოგიის, ქრისტიანული თეოლოგიის და რელიგიათმცოდნეობის საკითხებზე. სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული აქვს კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დარგში. არის ძველი ხელნაწერების ისტორიის მკვლევარი, „სალვთისმეტყველო კრებულის“ ორი სპეციალიზებული ნომრისა და ჟურნალ „სიტყვის“ რედაქტორი, ავტორი წიგნებისა: „რელიგიის კარიბჭე“, „მსოფლიოს რელიგიები საქართველოში“, „საქართველო და მსოფლიოს რელიგიები”, „საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის“, “ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში”.

მისი პუბლიკაციების უმრავლესობა საეკლესიო ცხოვრების წარსულისა და თანამედროვეობის, სახელმწიფოსა და ეკლესიის, საეკლესიო და სამოქალაქო საზოგადოებების ურთიერთობათა პრობლემების განხილვას ეძღვნება.

## Nugzar Papuashvili

is working on issues of Christian theology and religious studies. Mr. Papuashvili has earned his Ph.D. in Philologist. He is a researcher of old manuscripts and editor of "Theological Collection" and "Sitkva" (word) magazines. He has published three monographs: "Gates of Religion", "World Religions in Georgia" and "Georgian Church between the Two World Wars", "Georgia and the World Religions", "Ambrosi (Khelaia) on the Church Policy of Russia in Abkhazia".

Most of his publications are devoted to the problems of relation between past and present, the State and religion, ecclesiastic and secular societies.